

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998, გვ. 31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 606¹ მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ, აგრეთვე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო აღმასრულებლის ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის შესახებ.“.

2. 606¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. მსჯავრდებულის ძებნის პროცესში საპრობაციო ვადის ათვლა ჩერდება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი